# ივერია

გაზეთი ღირს

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


**გაზეთი „ივერია“ პირველის აპრილიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან.**

ტფილისი, 13 აპრილი

მოვაწყინეთ თავი ჩვენს მკითხველებს ასე გძლად ლაპარაკით ღვინის თაობაზედ. მაგრამ რაკი ამისთანა საყურადღებო საქმეში შევტოპეთ, უნდა ბოლოც გავატანოთ და რაც სათქმელი გვაქვს, ყოველივე ვსთქვათ.

ღვინოში არის ერთ ნაირი ნაწევარი, რომელსაც გლიცერინი ჰქვიან. ეს გლიცერინი ისე ცოტაა ღვინოში, რომ ერთს ბოთლზე ერთი მისხალი ძლივს მოდის ხოლმე. რადგანაც ამ გლიცერინს სხვათა შორის ის თვისებაცა აქვს, რომ ღვინოს გამძლეობას აძლევს, ამიტომაც ხშირად უმატებენ ხოლმე. გლიცერინი იმ ზომით, რა ზომითაც ბუნებურს ღვინოშია, სრულებით მაწყინარი არ არის, მაგრამ ბოთლს ღვინოში რომ ერთის მისხალის მაგიერ ხუთი იყოს, მაშინ ადამიანს სწყინს და შარდს აკლებს და თუ ათსა და თერთმეტს მისხალს გადასცილდა, მაშინ იქამდე ჰვნებს ადამიანს, რომ სისხლის შარდზედაც გაიყვანს. მაგრამ რადგანაც გლიცერინი თურმე გამძლეობას ჰმატებს ღვინოსა, ამიტომაც ერთმა კაცთ-მოყვარე მეაფთიქემ, შეამჩნია რა ეს თვისება გლიცერინსა, დაიწყო გლიცერინით ღვინის შეზავება და კეთება. ამ ვაჟ-ბატონს შეელი ერქვა და ამიტომაც მის სისტემას შეელიზაცია დაერქვა, რათა კაცობრიობას არ დავიწყებოდა ძვირფასი სახელი მისი, ვინც ღვინის გამძლეობის სიყვარულითა ადამიანის მოწამლვასაც არ მოერიდა. ამბობენ, თუ გლიცერინთან ერთად ალკოგოლიც ჩამატებულია, მაშინ გლიცერინი ისე არა სწყენსო და ამიტომაც მარტო გლიცერინის მიცემა ღვინოში სასტიკად ასაკრძალველიაო.*)

გარდა ამისა არის კიდევ ერთგვარი მჟავე, რომელსაც სალიცილის მჟავეს ეძახიან. ამ მჟავეს ჰხმარობენ ღვინის გამოსაკეთებლად და გასამძლეოდ. ყოფილმა მინისტრმა საფრანგეთისამ ტირარდმა აკრძალა ამისი ხმარება, რადგანაც მეტად მაწყინარად იცნა ადამიანის აგებულებისათვის და ეს ბძანება გამოვიდა თუ არა ბოლოში, იმოდენა ღვინო აღმოჩნდა სალიცილის მჟავით ნაკეთები, რომ მინისტრი იძულებულ გახდა პაემანი დაედვა იმ ღვინოების გასასაღებლად, თუმცა კი მაწყინარად ცნობილნი იყვნენ. ასეთი ძლიერი იყო დრტვინვა და ღაღადი ღვინის ვაჭრებისა, რომ მათმა ჯიბის ინტერესმა სძლია დანარჩენის ერის ჯან-მრთელობის ინტერესსა. ამ მეუნდობელმა სისუსტემ მინისტრისამ ღონე მოაკლო მისვე კანონს და სალიცილის მჟავით ღვინის მკეთებელს სასტიკად დევნა ველარ დაუწყეს. ზოგიერთი სასამართლოები ამართლებდნენ კიდეც ამაში დამნაშავესა. ხოლო საჭიგიენო კომიტეტმა საფრანგეთში სცნა სალიცილის მჟავის ხმარება უებარ საწამლავად ადამიანის აგებულებისათვის და პარიჟის პრეფექტმა 23 თებერვალს 1881 წ. გამოსცა მთელის პარიჟისათვის სავალდებულო ბძანება, რომ სალიცილის მჟავე არ იქმნას ხმარებული არც სასმელში რამიმე, არც სანოვაგეულობაში.

რაკი ალკოგოლის ჩამატებით ღვინოს სიმაგრეს ჰმატებენ და ამ სიმაგრეს ჰმატებენ იმისათვის, რომ ღვინომ წყალის დასხმა აიტანოს და ამ გზით ერთი ორად იქცეს, თქმა არ უნდა, რომ ღვინო ფერს დაჰკარგავს. ამ ბოროტებას და სიყალბეს ზედ მოსდევს სხვა სიყალბე და ბოროტება, რომელიც იმაზეა მიქცეული, რომ დაკარგული ფერი დაუბრუნონ ღვინოსა და სიყალბე თვალად შესამჩნევი არ იყოს. ამის გამო ღვინოს განგებ ჰფერავენ. ღვინის დასაფერავად ბევრ გვარი წამლებია ევროპაში ცნობილი. ყველაზედ გავრცელებული ეგრედ წოდებული ფუქსინიაა. ფუქსინიაზედ ლაპარაკი ჩვენ წინა წერილებშიაცა გვქონდა და აქ მეტი იქმნება განმეორება მისი, თუ,—რამოდენად მავნებელია ეგ ფუქსინია და რამოდენად შესაწყნარებელი თვით სისტემა, რომელიც გათქმულია ფუქსინიზაციის სახელითა.

ჩვენ აღარ გამოვუდგებით სხვა მრავალ გვარს მოწამლვას ღვინისას. თითქმის უთვალავია სხვა-და-სხვა ხერხი, სხვა-და-სხვა წამალი, რომლის წყალობითაც ევროპაში ღვინოებს სწამლვენ მუშტარის მოსატყუებლად და მოსაწამლავად და გამორჩომას ანაცვალებენ ერის ჯან-მრთელობას. ჩვენ აქ მოვიყვანთ პარიჟის სამუნიციპალო ლაბორატორიის გამოკვლევას ამ საგანზედ და იქიდამ დავინახავთ, რამოდენად გავრცელებულია საფრანგეთში,—ამ ღვინის ბოლაზში არა-ბუნებურის ღვინის კეთება. ამ ლაბორატორიაში გასინჯული იყო 133 ჭაშნიკი სხვა-და-სხვა ღვინოსი *) და აღმოჩნდა, რომ 130 ჭაშნიკი ავის თვისებისა იყო და მარტო 3 კარგისა. ჟურნალ Yoltaire-ში 1883 წლის 15 ნოემბერს გამოცხადებულია ამავე ლაბორატორიის ანალიზები და აი რა აღმოჩენილა: გაუსინჯავთ 650 ჭაშნიკი სხვა-და-სხვა ღვინოებისა, რომელნიც წარდგენილა ყოფილა ლაბორატორიაში და მარტო 60 აღმოჩენილა უწყინარი. ამანალიზებიდამ აღმოჩნდა, რომ 871 სხვა-და-სხვა ხერხი უხმარიათ ყალბობისათვის და 281 შემთხვევაში ორჯერ გადაუყალბებიათ ერთი და იგივე. ეს ღვინოები ოქტომბერში უსინჯავთ. დეკემბერშიაც ამავე ლაბორატორიაში წარმოუდგენიათ 821 ჭაშნიკი სხვა-და-სხვა ღვინოსი და ამათში გაუყალბებელი ღვინო აღმოჩენილა მარტო 143 და ყალბობის სხვა-და-სხვა ხერხი 968 დაუთვლიათ! აბა რა ქმნას მუშტარმა, როცა ასს სხვა-და-სხვა ღვინოში მარტო ათი ურევია მართალი ღვინო? ზოგი იქნება ისეც მოკვდეს, რომ თავის სიცოცხლეში ამ ათს შემთხვევაში ერთი შემთხვევაც არ ერგოს მართალის ღვინის სყიდვისა და იძულებულია ძალა-უნებურად სვას ყალბი და მაწყინარი ღვინო და იწამლოს ნელ-ნელა თავი.

ჩვენ ამით ვათავებთ ღვინის კეთების თაობაზედ ლაპარაკს და მარტო ისღა დაგვრჩა, რომ განვუზიაროთ მკითხველს ჩვენი აზრი, რის გამოც საჭიროდ დავინახეთ ასე გძლად ლაპარაკი ღვინოზედ.

*) „ენციკლოპედი საჭმელ-სასმლისა“ ტომი I.

*) „Petit dictionnaire des falsifications.“ L. Doufur.

## ახალი ამბავი

*** შაბათს, 11 აპრილს, როცა სოფელს კოდას წაასვენეს მიცვალებული გენერალ-ლეიტენანტი საგინაშვილი, გზაზე შემდეგი უბედურობა დატრიალდა: მიცვალებულს აცილებდნენ ნათესავნი და ნაცნობნი. სხვათა-შორის ერთს ფაეტონში ისხდნენ პოლკოვნიკი ივანე ბესარიონის-ძე საგინაშვილი და ალექსანდრე ლუარსაბის-ძე ფავლენიშვილი. სოღანლუღის ფოსტის სადგურს ახლო ფაეტონის ცხენები გაფრთხნენ და გაიტაცეს ეტლი. შიგ მსხდომნი გადმოცვივდნენ. პოლკოვნიკმა საგინაშვილმა იტკინა ხელი და გვერდი და მძიმედ არა დაჰშავებია რა, ხოლო ფავლენიშვილიკი ისე უხერხულად გადმოვარდა, რომ მეორე დღესვე გარდაიცვალა.

*** მიცვალებულმა გენერალ-ლეიტენანტმა საგინაშვილმა უანდერძა „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ ორმოც-და-ათი თუმანი.

*** 5 აპრილს უმაღლესად ებოძა ალავერდელ ეპისკოპოზს ბესარიონს ჯილდო-ორდენი წმ. ანნასი პირველის ხარისხისა.

*** კვირას, 12, აპრილს არწრუნისეულს თეატრში უნდა წარმოედგინათ

# ფელეტონი

### ეთნოგრაფიული წერილები

(წერილი მეცხრე)

როცა ან თემისა, ან კერძო კაცის უფლებას ვინმე დაარღვევს, მაშინ უფლებას აღდგენა უნდა. დარღვეულის და უარ-ყოფილის უფლების აღდგენა სამართლის წარმოებას შეადგენს და ამ წარმოებას ხევსურეთში ბჭობას ეძახიან. ბჭობა სახალხო მართლ-მსაჯულებაა, ხალხის ზნე-ჩვეულებაზედ აღმოცენილი და მასზედ დამყარებული. აქ არის მიზეზი, რომ ეხლაც ხევსური თითქმის ყველა დავას და საჩივარს, მძიმე სასისხლო დანაშაულებასაც კი ბჭობით ათავებს და იშვიათად მიმართავს ხოლმე მთავრობის სასამართლოს. თვით ბჭობის ხასიათი და თვისება ხელს უწყობს ამ გარემოებას. პირველად ესა, რომ ბჭე მოჩივარისა და მოპასუხის დაახლოვებული კაცია და მათი სადავო საქმე შინაურულად იცის; მეორედ—ბჭობის პირველი საგანი მშვიდობით მორიგებაა. თუ არ დავივიწყებთ, რომ ხევსურეთში ეხლაც შურის-ძიება რჯულთ უმტკიცესია და ძეტადრე მძიმე დანაშაულობას თან მოსდევს ენებათა ღელვა, მაშინ ადვილად მიხვდებით—თუ რისათვის ასე მტკიცედ და თავ-გამოდებით უყვარს ხევსურს ბჭობა, ეს თავისი საკუთარი მომრიგებელი სამართალი. ხევსურის აზრით, მართლ-მსაჯულება უზენაესი ძალაა და ბჭე კიდევ ღვთიურის მადლით აღსავსეა, რჩეული კაცია. ამისათვის ბჭე მიუცილებლად „ჭკვათა-მყოფელი“ უნდა იყოს, სამართლის და ხალხის ჩვეულებათა მცოდნე. ბჭე ისეთივე მოსამართლეა, როგორსაც დიდებული სჯულთ-მდებელი გვიხატავს: «დიდად მჩხრეკელი, მიმხვდარი და გამომძიებელი, გონება აუჩქარებელი, დაწყნარებული, გამგონე, საჩივრის ყურის მიმგდები, გამსინჯავი და სხვისაც მკითხავი, მოჩივრის მოადის მომცდელი, სხეისაც მკითხველი». (ვახტ. სამ. მუხ. გ.) თვითეულს თემში მოიპოვებიან ამ ნაირნი კაცნი და ბჭეებადაც იმათ ირჩევს ხალხი. ერთს თემს შეუძლიან მეორე თემიდამ ბჭენი მოიწვიოს.

მაგრამ არც მოჩივარს და არც მოპასუხეს ნება არა აქვს პირ-და-პირ თითონ ამოირჩიოს ბჭენი,—ბჭეებს ირჩევენ ეგრედ წოდებულნი „შუამავალნი“ («შუამავლობა»). შუამავალის საქმეა და ვალია ბჭობის გამართვა. მოდავენი ბჭეებს თითონ ვერ აირჩევენ; ეს სირცხვილია,—მხდალნი არიანო, იტყვის ხალხი. შუამავალი ორიც შეიძლება. მათ მომტერეთათვის გული უნდა შესტკივოდეთ. რადგანაც შუამავალს ბჭობაში დიდი მნიშვნელობა აქვს—(ბჭენი სამართლის წარმოების დროს შუამავლებს უფრო ეკითხებიან, ყურს უგდებენ—თქვენ უფრო სწორედ იცით სადავო საქმის გარემოებაო,—პირი გაქვთ ნაკითხი, იცით, როგორ მორიგდებიანო), ამიტომ შუამავალიც ღირსეული კაცი უნდა იყოს და ამასთანავე ნათესაობა არ უნდა ჰქონდეს მოჩივართან და მოპასუხესთან; ნათესავი-შუამავალი, შეიძლება, მიდგომით მოიქცეს, შებილწოს სიწმინდე საბჭო სამართლისა და ამისათვისაც ამ გვარი შუამავალი განდევნილია სამართლის წარმოებაში. ზოგ შემთხვევაში ესევე უნდა ითქვას თითონ ბჭეზედაც,—არც ბჭე შეიძლება ნათესავი იყოს რომელისამე მხარესი, თუმცა ორთავე მხარეს შეუძლიან ნათესავ ბჭესაც მიენდოს, თუ ბჭე პირ-მართალი კაცია. შუამავლობა წინ უძღვის ბჭობას და თუმცა თითონ არა ბჭობს, მაგრამ საქმის გადაწყვეტაზედ-კი დიდი გავლენა აქვს. თუ შუამავალი ერთი ან ორი უნდა იყოს, ბჭეების რიცხვი, მათი რაოდენობა საქმის თვისებაზედ არის დამოკიდებული: თუ მძიმე საქმეა, ბჭეებიც ბლომად უნდა იყვნენ (ათ კაციდამ თხუთმეტამდე), როცა მსუბუქი საქმე ირჩევა, მაგალითებრ, მცირედი ქურდობა, ვალის გადახდა, დიაცის სახელის შებღალვა და სხ., მაშინ საკმაოა სამიდგან ექვსამდე ბჭე. შუამავლებმა უნდა გადასწყვიტონ, რამდენი ბჭეც არის საჭირო, საქმის სიმძიმე თუ სიმსუბუქე რაოდენს ბჭეს თხოულობს; მაშასადამე, შუამავალიც მცოდნე უნდა იყოს ხალხის ჩვეულებითის სამართლისა, უნდა ესმოდეს თვითეულის საქმის თვისება. ეს ხომ ასეა, მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ საქმის თვისებაზედ არის დამოკიდებული ბჭეების რიცხვი: ხალხს შეუგნია, რომ მძიმე საქმის გადაწყვეტა (კაცის კვლა, გახეიბრება, მამულის დავა და სხ.) დიდს ჯაფასა და გასინჯვას თხოულობს; ორიოდე კაცი, თუმცა „ჭკვათა-მყოფელიც“ იყოს, ვერ შესწვდება რთულის საქმის გარჩევას; მაგალითებრ, ეხლაც ორის თემის შორის ხანდიხან შუღლი ასტყდება ხოლმე, შუღლში ასობით და ორასობით ურევიან მოჩხუბარნი. მათი გასამართლება ადვილი როდია, ბევრს ბჭეებს თხოულობს. თუმცა შუამავალნი ნიშვნენ ყველა საქმისათვის ბჭეების რიცხვს, მაგრამ მოჩივარს და მოპასუხეს ნება აქვთ ეს რიცხვი შეამცირონ, ბჭენი ცოტა ინდომონ,—ბევრი ხარჯი მოგვივა, ცოტანიც ჰკმარანო. საქმე იმაშია, რომ ბჭეებს და შუამავლებს ორთავე მხარე კარგად უნდა გაუმასპინძლდეს; ჩვეულების ძალით, რაც კარგად გაუმასპინძლდებიან, უფრო დიდი სახელია, პატივ-სადები საქციელია: პურადნი არიანო და პურადობა ხომ ძველადგან აქამდე ჩვენში საქებარი საქმეა. გარდა ამ ხარჯისა, სასისხლო საქმეში თვითოეულს ბჭეს საბჭო გა-

აკაკის დრამა „თამარ-ცბიერი", მაგრამ რაღაც მიზეზების გამო წარმოდგენა სხვა დროსთვის გადაიდო. ამ წარმოდგენის გამართვას კერძოდ აპირობდნენ ზოგიერთი ჩვენი არტისტი ქალები და კაცები.

*** ქართული დრამატიული კომიტეტი, როგორც ამბობენ, მხოლოდ ენკენისთთვიდამ შეუდგება დრამატიულის დასის შედგენას და წარმოდგენების მართვას. მანამდე-კი კომიტეტი სხვა სათეატრო საქმეებს მიაქცევს თავის ყურადღებასაო.

*** ამ თთვის 11, ავლაბრის აღმართზედ, ახლად გაკეთებულ გზაზე მოხდა შემდეგი უბედურება: ზემო ქუჩაში კლდის პირად თამაშობდნენ ყმაწვილები. ერთი მათგანი ხრიხალს მიეჯახა და სამის საჟენის სიმაღლიდგან გადმოვარდა კლდეზედ, ძირს, ახლად გაკეთებულ გზაზე, თავი ქვას დაჰკრა და გაუტყდა... თუმცა წყალი ბევრი ასხეს, მაგრამ ვერ მოაბრუნეს: ყმაწვილს ენა ჩაუვარდა. მთელი უბანი შეიკრიბა. მერე, ზოგიერთების რჩევით, ყმაწვილი სამკურნალოში წაიყვანეს, რომ რაიმე შემწეობა მოეცათ. საჭიროა გაფიცვრა ხრიხლებისა, რომ შემდეგ კიდევ არ მოხდეს ამ გვარი უბედურება.

*** მოსკოვიდამ გვწერენ: რასაკვირველია გაგონილი გექნებათ, რომ ჩვენმა თანა-მემამულემ სახელოვანმა არტისტმა სუმბათაშვილმა დასწერა ამ ბოლოს დროს ახალი დრამა „იოანე მრისხანე". ახლა შეუდგნენ ამ დრამის დასწავლასა და ამბობენ, ვითომ უმთავრესს როლს „იოანე მრისხანისას" თვით ავტორი შეასრულებსო. მოსკოველები, მეტადრე სტუდენტობა დიდის ალტაცებით მოელიან იმ ჟამს, როდესაც «იუჟინი» (სუმბათაშვილი) ამ როლში გამოვა. ლამის სუმბათაშვილი აქაურის საიმპერატორო დრამატიულის თეატრის პრემიერად გადიქცეს. ამ ნიჭით სავსე არტისტს მომავალში კარგი ბედი მოელისო, ამბობს საზოგადოდ ყველა, ვისაც-კი უნახავს სცენაზე უმთავრესს როლებში. ნევეჟინის დრამაში «Друзья Дѣтства» „იუჟინი" ისე თამაშობს, რომ მთელი თეატრი ტირის და ქვითქვითებს. არ იფიქროთო, ამბობს კორესპონდენტი, რომ მე პატრიოტობით ვაზვიადებდე ამ ამბავსაო: რუსებს თავი მოსწონთ, რომ ასეთი მნათობი გაუჩნდათო.

*** ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის სადგომში, წარსულს ოთხშაბათს დილის 11 საათზედ შეიკრიბნენ რამდენიმე ბარათით მიწვეულნი ქართველნი და შეუდგნენ იმ საზოგადოების წესდების პროექტის განხილვას, რომლის დაარსებაც განუზრახავთ ტფილისში მომხმარებელთა და მწარმოებელთა დასახმარებლად. ამ კრებაზე წაიკითხეს პროექტი წესდებისა და შემდეგ ბაასი გაიმართა იმაზე, თუ რა აზრი და საგანი აქვს საზოგადოებას და რამდენად სასურველია ამ საზოგადოების შედგენა. მეორე კრება, რომელსაც უნდა განეხილა მუხლ-მუხლად თვით წესდება, გუშინ-წინ, კვირას იყო იმავე ბანკის სადგომში. ამ კრებამ მოასწრო მხოლოდ 15 მუხლის განხილვა. შემდეგ მუხლთა განსახილველად კრება დანიშნულია ხვალ, საღამოს 7 საათზედ.

*** 6 აპრილს საღამოთი ქალაქიდან მიმავალი სოფ. დიღ-ლილოში მცხოვრებელი კონსტანტინე გაბატაშვილი. ტფილისსა და ორ-ხევის სადგურს შუა დაჰხვედრიან ხუთი შეიარაღებულნი ცხენოსანი ავაზაკი. ცხენი წაურთმევიათ და გაუცარცვავთ. წაურთმევიათ ხურჯინი სხვა-და-სხვა ნასყიდის ნივთებით და, რაც ფული ჰქონია ზედა, ისიც გამოურთმევიათ და ისე გაუსტუმრებიათ.

*** 7 აპრილს კოჯრის მახლობლად ერთის ეკკლესის დღეობა იყო (უძოობა). საღამოზედ, როცა დაბრუნდნენ მლოცავები, ოქროყანის ქვეით, სოლოლაკის თავში ტფილისში მცხოვრებელს იოსებ მაისურაძეს და ილიკო ქიტიაშვილს დახვდნენ რამდენიმე შეიარაღებულნი ავაზაკნი. საბრალო მლოცავებს თავები გაუტეხეს და რაც რამ ჰქონდათ, ყველაფერი წაართვეს.

იმავე საღამოს ნახევარ საათის უკან აქვე და, როგორც ამბობენ, იგივე ავაზაკები დაჰხვდნენ· თურმე ტფილისში მცხოვრებლებს ორს ძმას ბაგრატა და კარაპეტა შახნაზაროვებს და სეიმონ მამულოვსა. ერთს წაართვეს ვერცხლის ქამარი, ვერცხლის საათი და ჩოხა, მეორეს ვერცხლის ქამარი, ვერცხლის საათი, ოცი მანეთი ფული და აგრეთვე რაც ტანზედ ეცვა, ყველაფერი გახადეს და ორივეს ისე დაამტვრიეს თავ-პირი, რომ ძნელია იმათი მორჩენაო. მესამეს, სახელდობრ, მამულოვს შვიდი მანეთი ფული წაართვეს და იმასაც თავი გაუტეხეს. როგორც ამბობენ, ავაზაკები თუმცა თათრულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ ეტყობოდათ, რომ თათრები არ იყვნენო.

*** შორაპნის მაზრაში, სოფელ შუქრუთში, შავი ქვა უთხრიათ, მიწა ჩამოწოლილა, ორი მუშა—ძმები ქვეშ დაუტანია და ორივე მოუკლავს.

## სია შემწირველთა

წიფასა და ფონას შუა ჩამოწოლილ მიწისაგან დახოცილთა ცოლ-შვილის სასარგებლოდ. ჩვენს რედაქციას კიდევ ფული მოუვიდა შემდეგ შემომწირველთაგან:

| | | |
|---|---|---|
| სიღნაღიდგან . . . | 6 მან. | „ |
| წინანდელი იყო . . . | 58 მან. | 20 |
| სულ . . . . | 64 მან. | 20 |

## ცოტა რამ ეგვიპტეზედ ეგვიპტიდგან.

### წერილი პირველი

ქაირო. ამ წერილს ვწერ განსაკუთრებით იმ ჭლექიანების საყურადღებოდ, რომელთაც ან ბედი და ან დაზიანებული ფილტვები გამოისტუმრებს აქედ. ჩემის აზრით, რამდენიმე სასარგებლო რჩევა აქეთ მგზავრობასა და აქაურს ცხოვრებაზედ არ იქნება მომეტებული იმ ავად-მყოფებისათვის (არც კარგად-მყოფთათვის იქნება მავნებელი), რომელნიც დააპირებენ აქედ გამომგზავრებას. მართალია, გზის მაჩვენებელ წიგნებში შეიძლება ნახოთ ზოგიერთი მშვენიერი რჩევა, მაგრამ აქედ-იქით გავანტულის რჩევის ამოკრება გასაჭირი იქნება და ზოგიერთი მათგანი სრულიად გამოუსადეგარიც. მე იმას დავწერ მარტო, რაც მე თვითონ გამომიცდია და რის მოწამეცა ვარ. გზის მაჩვენებელ წიგნების ავტორები უფრო სხვა-და-სხვა სურათების აღწერას უნდებიან და ავად-მყოფებიკი, რომელთათვისაც ქაირო ჭკვით საზამთრო სადგურად ითვლება, მივიწყებული ჰყავთ.

ქაირო არის სატახტო ქალაქი ეგვიპტისა, რომელსაც ჰმართავს ქედივი (ტაუფიქ-ფაშა), ოსმალეთისაგან ვიცე-კოროლად დაყენებული. ქედივის საზამთრო რეზიდენციაა ეს ქალაქი, რომლისგანაც არა ერთი ჭლექიანი მოელის თავის დაზიანებულის ფილტვების გამრთელებას. რომელს მათგანს არ გაუგონია თავის ექიმისაგან, „ზაფხულში წაბრძანდით აბასთუმანსა, ან ბორჯომშიო და ზამთარი კი გაატარეთ ნიცცაში, მენტონაში და ან ეგვიპტეში—ქაიროში, საიდგანაც, მე დარწმუნებული ვარ, დაბრუნდებით სრულიად განკურნებული თქვენის სენისაგანაო". აი მე მინდა ლაპარაკი ამ ქაიროზედ, სადაც ვცხოვრობ აგერ სამ თთვეზედ მეტია. ჯერ ცოტა რამეს იმაზედ ვიტყვი: რამდენი ხანი მოგინდება გზაში და ან რა გარდამსდა ამ გზის ფასი.

ბათუმიდგან წამოვედი სტამბოლამდის ერთის ცეცხლის გემით, სტამბოლიდგან ალექსანდრიამდის—მეორეთი და ალექსანდრიიდგან ქაირომდის—რკინის გზით.

ბათუმიდგან სტამბოლამდის დადის რუსის და სხვა-და-სხვა საზღვარ-გარეთულ საზოგადოების გემები; სტამბოლიდგან ალექსანდრიამდის კი მარტო რუსისა, ევროპისა და ეგვიპტის გემები.

მე გამგზავრე რუსის საზოგადოების გემებით. მეორე კლასში გარდამსდა სტამბოლამდის 28 მანათი ქაღალდის ფულით და სტამბოლიდგან ალექსანდრიამდის 60 მანათი ოქროთი,—სულ 119 მანათი ქაღალდის ფულით (მგონია, მეტი მაინგარიშეს შეცდომით). ალექსანდრიიდგანაც ქაირომდის 17 ფრანკი მეორე კლასის ბილეთისათვის დამჭირდა. ბათუმიდგან ქაირომდის სულ მოვუნდი გზაში 13 დღეს, აქედამ სამს დღეს ვუცდიდი სტამბოლში ეგვიპტისაკენ წამსვლელ გემს.

სტამბოლიდგან ალექსანდრიისკენ დადის რუსეთის საუკეთესო გემები. არავის არ ვურჩევ გარშემო რეისით მოგზაურობას, რადგანაც გზაში დიდხანს მოუნდება და ისეთს ადგილებშიაც გაივლის, სადაც ფურთუნა და ღელვა იცის ზღვამ. უნდა ამოირჩიოს პირ-და-პირ მოსიარულე გემი, რომელიც ყოველთვის უფრო დიდია, უფრო ჩქარი მოსიარულე, მოსასვენებელი და კომფორტით მოწყობილი. ბათუმში მგზავრმა თავის პასპორტი თუ ოსმალეთის საკონსულოში არ დაამოწმებინა, ისე ვერც ერთს ქალაქში ვერ გავა თავისუფლად ანატოლიის ნაპირზედ. ეს დამოწმება ეღირება 2 მანათი, ან ცოტა მეტი.

არც იმას ვურჩევ ავადმყოფს, რომ მგზავრობა სანოემბროდ და სადეკემბროდ გადასდოს, რადგანაც ზამთარში საშინლად ღელავს შავი ზღვა.

ალექსანდრიის ბოლოზში შედის გემი დღისით, უფრო დილით. თუ ღამით მივიდა გემი ამ ბოლოზში, ვერ გაბედავს შესვლას ულოცმანოდ, რომელსაც იბარებენ ალექსანდრიიდგან ბოლოზში შესასვლელად, რადგანაც აქ თავ-თხელი წყალია და სავსეა შიგ დაფარულის კლდეებით.

ნავით გასვლა ნაპირ ქალაქში ღირს ნახევარ-ნახევარი ფრანკი, თუმცა მენავეები ორსა და სამს ფრანკს თხოულობენ.

სტამბოლიდგან ალექსანდრიამდის უნდება პირ-და-პირის რეისით რუსის გემი ოთხსა და ექვსსა—ოთხ-ნახევარ დღეს. ალექსანდრიიდგან ქაირომდის რკინის გზით უნდა იაროს კაცმა, მაგრამ მესამე კლასით არა ღირს წასვლა, რადგანაც ვაგონები ახდილია და ყველა მხრივ ღია, საზიზღოა.

ალექსანდრიაში არ არის საჭირო რუსის საკონსულოში მისვლა პასპორტის გამოსაცხადებლად. მხოლოდ, როცა დამოჟნაში მოხელე მოითხოვს პასპორტს, საკმაოა ვიზიტის ბარათი მისცეთ მის მაგიერ. არც ბარგის დახსნევა იციან მაინცა ქაირის დამოჟნაში.

ქაირისკენ დღეში რამდენჯერმე მიდის მატარებელი: მსწრაფლ-მატარებელი ერთხელ, საღამოს $6^1/_2$ საათზედ და ქაიროში ჩავა იმ ღამესვე 10 საათზედ. სხვები, რასაკვირველია, უფრო მეტ ხანს უნდებიან გზაში.

მე ვარჩიე პასაჟირის მატარებლით წასვლა იმ დღესვე, როგორც ჩავედი ალექსანდრიაში, რადგანაც არ მინდოდა იქ ღამის გათევა: დიდი წვიმები იცის, როგორც შეეფერება სატროპიკო ზღვის პირ ქვეყანას და მასთან ცივებაც ხშირია. ამიტომაც წამოვედი იქიდგან ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზედ და ჩამოვედი ქაიროში იმ საღამოსვე, 8 საათზედ. კიდევ იმიტომ ვარჩიე დღისით წამოსვლა, რომ მინდოდა არე-მარე დამეთვალიერებინა, ამას

---

დასახადი უნდა მიეცეს: მდიდარის კაცისაგან ძროხაზედ ოთხი აბაზი, ცხვარზედ ერთი აბაზი; როცა მომტერენი ღარიბნი არიან, ბჭენი ან სულ არაფერს გამოართმევენ, ან გამოართმევენ მცირედს ფასს. ამ გარდასახადში შუამავლებსაც წილი აქვთ. შეიძლება მძიმე საქმე მეტად ძვირად ღირდეს. მაგალითებრ, კაცის მოკვლა ოთხმოცი ძროხა ღირს და ძროხაზედ ოთხი აბაზი დიდს ფულს შეადგენს ხევსურისათვის. კიდეც ამიტომ მოდავეთა შეუძლიანთ, საქმის თვისებისა მიუხედველად, ცოტა ბჭეები ინდომონ. საბჭო გარდასახადი ჩვენს ძველს დაწესებულებას შეადგენს. საქართველოში, როგორც ყველგან, უსასყიდლოდ განსამართლება არ შეიძლებოდა. სახელმწიფოს შემოსავლის ერთს უმთავრესს წყაროს სამოსამართლო გარდასახადი შეადგენდა. ამ გადასახადის სიბევრე თუ სიცოტავე ადგილობრივ ჩვეულებაზედ და ხალხის შეძლებაზედ იყო დამოკიდებული. სასამართლოს მოხელეების ჯამაგირსაც უფრო ეს გარდასახადი შეადგენდა (იხილე „დასტურლამალი", დაბეჭდილი პ. უმიკაშვილის რედაქტორობით, გვ. 56—58), და თუ სახელოვანს სოლომონ მსაჯულს მარტო რვა თუმანი ჯამაგირი ჰქონდა, ეს იმიტომ, რომ შესავალი ბევრი ერგებოდა... ხევსურულს ბჭესაც წინადვე გადაჭრილი და დაწესებული გარდასახადი ერგება, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ხევსურს შეუძლიან თავიდამ აიცილოს ბევრი ხარჯი: საჭიროა მხოლოდ ბჭეთა რიცხვის შემცირება. გარდასახადი სრულებითაც არ უშლის საქმის სწორედ გადაწყვეტას; არც კარგად დახვედრას და პურადობას შეუძლიან სამართლის სასწორის გამრუდება. აი რადა:

ბჭობის დედა-აზრი და საგანი უანგარო და პირუთვნელი საქმის გადაწყვეტაა. ეს პირუთვნელობა, მიუდგომელობა ხალხს ისე ღრმადა აქვს ჩანერგილი, რომ საბჭო ადგილისათვისაც-კი სიმბოლიური მნიშვნელობა მიუცია: ბჭობა მიუცილებლად შუა-ადგილას უნდა გაიმართოს; როცა მომტერენი სხვა-და-სხვა სოფლისანი არიან, საბჭო ადგილი ამ ორს სოფელს შუა უნდა იყოს; ერთ სოფლისანებს-კი ხატში გაასამართლებენ. თვით სოფელში და სოფლის ახლო ბჭობა არ შეიძლება,—მომტერენი ერთი-ერთმანერთის სოფელში ვერ მივლენ, ხელ-ახლად სისხლის ჩამოვარდნისა ეშინიანთ.

რადგანაც შუა-ალაგია საჭირო, ამიტომ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ბჭენი სამჯავროს გამართვენ ჭალაში, წყლის პირად, გორასა ან მთის წვეროზედ. მშვენიერი და სულის დამატკბობელი სანახავია მაშინ ხევსურული ბჭობა!.. ბჭობა უფრო ღამით მოხდება ხოლმე; პირველად იმიტომ, რომ ბჭენი დღისით ძლივას შეიკრიბებიან; მეორედ—მომტრეთა ერთმანერთის აცდენა ღამე უფრო შეიძლება. ბჭობა, უეჭველად, მსწრაფლად უნდა გათავდეს და რაც უნდა მძიმე და რთული საქმე იყოს, ბჭობა ორ-სამ დღეზედ მეტს არ გასტანს. საბჭო მართლიერებისათვის საჭიროა წესიერება, მართებულად ყოფნა; ამიტომაც ყველა ამას ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული; ბჭენი ჰსცდილობენ, რომ ხალხი რიდით და მოწიწებით ექცეოდეს თავის სამართალს, რაიმე წინ-დაუხედავის მოქმედობით არ შებილწოს მამა-პაპეული რჯული. როგორც ბჭობა გაიმართება, მაშინვე წილს ჰყრიან ბჭენი და რომელ მხარესაც, მოჩივარს თუ მოპასუხეს, წილი ერგება, პირველად ის ილაპარაკებს,—ლაპარაკი წილით არის. როცა ერთი მხარე გაათავებს ლაპარაკს, იმას დაითხოვენ და თითონ ბჭენი გაასცილებენ,—მომტრე არ შეხვდეს და ახლად შუღლი არ ასტყდესო. მერე მეორე მხარე ილაპარაკებს. ხევსურს საზოგადოდ ბევრი ლაპარაკი უყვარს, მჭევრ-მეტყველებას დიდად აფასებს, ბავშვებს პატარაობიდგანვე კარგს სიტყვა-პასუხს ასწავლის; შედარებით რომ ითქვას, საქართველოს არც ერთს კუთხეში არ მისდევენ ისე გულმოდგინედ მჭევრ-მეტყველობას, როგორც აქ, ხევსურეთში, სადაც ჩვენი ძველებური მდიდარი სიტყვიერება აქამომდე ხელ-უხლებლად დარჩენილია და შენახული. ამიტომაც, ბჭობის დროს წილით და არა რიგით ლაპარაკი ხალხის ხასიათზედ ზედგამოჭრილი ჩვეულებაა; რადგანაც მომტრეთა ცალკ-ცალკე ეკითხვის, ამიტომ ეგრედ წოდებული დაპირდაპირება სრულებით არ იცის საბჭო სამართალმა, თუმცა ეს დაპირდაპირება ბევრს შემთხვევაში მიუცილებელს საჭიროებას შეადგენს. როცა ერთი მხარე ლაპარაკს გაათავებს, რაც სათქმელი აქვს ყველაფერს იტყვის და საბუთს წარმოადგენს, მაშინ ბჭენი მოპირდაპირეს მოიწვევენ და იმას თქმულსა და გაგონილს, წარმოდგენილს საბუთს დაწვრილებით და უმეტ-ნაკლებოდ გარდასცემენ. ეხლა მოპირდაპირეს რიგია: დაიწყებს ლაპარაკს, საქმის გარემოების ახსნას, მოწინაამღდეგის საბუთის დარღვევას. მეორედ ლაპარაკი, პასუხის პასუხი ჰსწამს საბჭო სამართალს და კარგიც არის, რადგანაც ამას ბევრჯელ თვით სადაო საქმის თვისება თხოულობს.

საბჭო სამართალი სიტყვიერი სამართალია და საბუთის წერილს არ თხოულობს, თუმცა კი არ უარ-ჰყოფს წერილობითს საბუთს. მოწმის ჩვენება, ფიცი, „ცოდვის მოკიდება"—აი საბუთები ამ სამართლისა. ჩვენც თვითეული ამ საბუთთაგანი უნდა განვიხილოთ.

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

გარდა მეშინოდა კიდეც, რომ ღამე საარულში არ გავცივებულიყავ ნისლისაგან, რომლითაც მთლად დაფარულია ზამთარში მთელი ქვემო ეგვიპტე ღამ-ღამობით.

დაიძვრის თუ არა გემი ბათუმიდგან, იმწამსვე იწყება ფულის ანგარიში ფრანკებით, ოქროთი. თვით რუსის გემზედ ოქროთი გთხოვენ ანგარიშს და არ იღებენ არც ბილეთში და არც საჭმელში თავიანთ ქაღალდის ფულს, თუმცა რუსის საზოგადოება რუსეთის მართებლობისაგანვე იღებს დიდ ძალს სუბსიდიას. ფრანკი ყველგან გადის. ქაღალდის ფულის დახურდავება სჯობია სტამბოლში, სადაც ზარაფები თავიანთის ყუთებით მძებნი სანახავნი არ არიან. ბათუმში ოც ფრანკიანში მთხოვეს 8 მანეთი და 70 კაპ., და სტამბოლში კი 8 მ. და 45 კ-ად ვიყიდე. სტამბოლში კი გადის რუსის ფული, მაგრამ ეგვიპტეში კი ძალიან გასაჭირია ქაღალდის ფულის დახურდავება. თვით რუსეთის ოქროსაც თავის საკუთარ ფასად არ იღებენ და ცოტაოდენს აკლებენ. დახურდავების დროს მგზავრმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ გახვრეტილი ფულები და ან ბერძნული და იტალიური ფრანკები არ შეატყუოს ზარაფმა, თორემ მერე ბევრს ინანებს, როცა გაუჭირდება მათი გასაღება.

ეგვიპტეს აქვს თავისი ფული, თუმცა ფრანგული ფრანკიც კარგად გადის აქ ჯერ აქ (ოსმალეთშიაც) დარჩენილია ფარობა. ფულს სთვლიან პიასტრებით. პიასტრი არის დიდი და პატარა. დიდი არის ვერცხლისა, ჩვენებურ ორ-შაურიანზედ ცოტა პატარა, და პატარა პიასტრი—ნიკკელისა, ორ-კაპეიკიანის სიდიდე, ესე იგი, თვალად დიდი პიასტრი უფრო პატარაა ვიდრე პატარა პიასტრი. პატარა ღირს ერთი შაური და დიდი ორი შაური ჩვენის ფულით. სპილენძის ფარაზედ არას ვიტყვი, რადგანაც მგზავრს არ დასჭირდება. ნიკკელის ფული არის ორი: 1) პატარა პიასტრი (ერთი შაური, 20 ფარა) და 2) ნახევარი ამ პატარა პიასტრისა ($2\frac{1}{2}$ კაპ., 10 ფარა). ვერცხლის ფული არის 5 ნაირი: 1) დიდი პიასტრიანი (ორ-შაურიანი), 2) ორ პიასტრიანი (აბაზიანი, ნახევარ ფრანკიანი), 3) ხუთ პიასტრიანი (ათ შაურიანი, შილლინგი), 4) ათ პიასტრიანი (მანეთიანი, ორ ფრანკ ნახევრიანი) და 5) ოც პიასტრიანი (ორ მანეთიანი, ხუთ ფრანკიანი, ტალერი).

ოქროს ფული ოთხ ნაირია: 1) გინეა, ანუ ეგვიპტური გირვანქა სტერლინგი (26 ფრანკი), 2) ნახევარი გინეა (13 ფრანკი), 3) მეოთხედი გინეა ($6\frac{1}{2}$ ფრანკი) და 4) რაღაც პატარაა, რომელიც უფრო ქალების გულ-მკერდის გასამშვენიერებლად არის, მგონია, მოჭრილი, ვიდრე ფულად სახმარებლად. დიდს დღესასწაულებში ქედივი და მისი მეუღლე ამ უკანასკნელ წვრილ ოქროებს მუჭა-მუჭას ისვრიან ხალხში. როგორც ჰხედავთ, აქაურის ფულის თვლა და ანგარიში ადვილია. ოქრო ითვლება ფრანკებით და ვერცხლი კი პიასტრებით. არაბები ოქროსაც პიასტრებით ითვლიან და ევროპიელები კი პიასტრებს ფრანკებით; მაგალითად: ვერცხლის პიასტრი—25 სანტიმია, ორ-პიასტრიანი—50 სანტიმი და სხვა, გინეა—100 პიასტრი, ნახევარი გინეა—50 პიასტრი, მეოთხედი—25 პიასტრი; ფრანგულ ოც ფრანკიანში ითვლება $77\frac{1}{4}$ ვერცხლის პიასტრი. ვერცხლის პიასტრს უძახიან კიდევ ბანკებში და ზოგიერთი ვაჭრები „ტარიფს“, „პიასტრ-ტარიფ“-ს. არაბები და ზოგიერთი ვაჭრები კი ტარიფს არქმევენ პატარა პიასტრს. ყიდვის დროს მგზავრმა რომ იკითხოს: „დიდი თუ პატარა პიასტრიო“, არ იქნება მისთვის საზარალო, რადგანაც აქაც ისე, როგორც ყველგან, მგზავრისაგან მეტის აღება არ მიაჩნიათ დიდ ცოდვად და, თუ ხელს გარდაჰყვება მეტი ფული, უკანვე არ დაუბრუნებს გამყიდველი.

ფაეტონით საარული ერთის ადგილიდამ მეორემდე ღირს ალექსანდრიაშიაც და ქაირშიაც ერთი ფრანკი, ვირით (ტრამვაის მაგიერ აქ სულ ვირებია) ერთი ვერცხლის პიასტრი, სათითაობით გარიგებაზედაა დამოკიდებული.

არ იქნება მეტი, მგზავრმა რომ წამოსვლის წინედ იშოვნოს გზის-მაჩვენებელი წიგნი და გარდაათვალიეროს ცეცხლის გემების რეისები, თუ არ უნდა რამდენისამე დღის დაკარგვა ბათუმში, ან სტამბოლში გემის ცდაშია.

ეგვიპტელები ლაპარაკობენ არაბულად, მაგრამ ეს ნუ შეაშინებს მგზავრს: თუ ერთი-ერთი ევროპიული ენა იცის, თავისუფლად იმგზავრებს, რადგანაც ევროპიელები ბევრნი არიან აქ და არც არაბებშია ცოტა იტალიურისა და ფრანგულის მოლაპარაკე.

ამ ქვეყანაზედ ბევრია ნაწერი ყველა ევროპიულს ენებზედ და ამიტომაც წიგნების შოვნა მაინცა და მაინც არ გასაჭირდება. ბევრი ქებნა და წიგნების ამორჩევა რომ არ დასჭირდეს, მე ამოვწერ აქ სამის წიგნის სახელს. ერთი-ერთი მათგანი სრულად საკმარისი იქნება. აი ამ წიგნების სახელიც:

1) ფრანგული—*E. Isambert* (Joanne-ის გამოცემული) «Jtinéraire de l'Orient 2-me partie (Malte, Egypte, Nubie, Abyssinie, Sinaï) 1881 an. თანვე 1881 წლის დამატებით. Paris. ღირს 30 ფრანკი.

2) გერმანული—*K. Baedeker*. „Unter Aegypten“, მეორე გამოცემა, ღირს 16 მარკა, ანუ $8\frac{1}{2}$ მანათი.

და 3) გერმანული Meyers Reisebucher „Der Orient“, m I. Aegypten, ღირს $7\frac{1}{2}$ მარკა.

ეგვიპტის ქარტები, ქალაქებისა და შესანიშნავის შენობების გეგმები ამ წიგნებშია ჩართული. თუ მგზავრს ენდომება ცალკე ქარტებისა ან წიგნების შეძენა, ეცადოს, სტამბოლში იყიდოს და დაუკვირდეს, რომ რაც შეიძლება ბოლოს დროს იყოს დაბეჭდილი. ალექსანდრიაში და ქაირში ყველა ესენი ძვირია.

რამდენი ევროპიული ენაც უნდა იცოდეს აქ მომსვლელმა, რამდენისამე არაბულის სიტყვის სწავლა მაინც დასჭირდება. ამისათვისაც ყოველს წიგნის მაღაზიაში იყიდება პატარა ფრანგულ-არაბული, ან გერმანულ-არაბული წიგნები. ამისთანა წიგნები ფრანგულს ენაზედ ორია: 1) Vocabulaire Français—Arabe par Michel Saleh, 3 fr. 50 s. და 2) იმავე სახელის წიგნი მეორე ავტორისა H. de Vaujany. პირველი წიგნი ყოვლად გლახაა და ყოვლისავე ნაკლულევანებას გარდა ეს სჭირს, რომ სირიულის ენითაა ნაწერი და არა ეგვიპტეში სახმარებელ არაბულის ენით. ეგვიპტეში ხმარობენ ეგრედ წოდებულს მდაბიურს არაბულს (vulgaire).

ყველას სჯობია გერმანული პატარა წიგნაკი ლეიპციგში დაბეჭდილი: „Arabicher Sprachfuhrer“. M. Hartmann, რომელიც 6 მარკა ღირს.

თუმცა ეგვიპტე თბილი ქვეყანაა, მაგრამ მაინც თუ ეგვიპტისკენ მიემგზავრებოდეთ ვინმე, არ დაივიწყოთ საზამთრო პალტოსი და სქელის მაუდის ტანისამოსის წამოღება. ერთი წყვილი კალოშიც არ იქნება მომეტებული. სამაგიეროდ ლოგინი თავისის მოწყობილობით სრულიად საჭირო არ არის, რადგანაც აქ ყოველს ოთახს ლოგინით და საჭირო სავსებით აქირავებენ. ოთახის ქირაობის დროს მიაქციეთ ყურადღება ლოგინს, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს სამუშლე (пологъ), კისეის ან ბლონდის ჩამოსაფარებელი, რომ ჭია-ჭუამ, რომელიც მრავალია ეგვიპტეში, არ დაგკბინოსთ.

ვასილ კოკოჩაშვილი

ქაირი

(შემდეგი იქნება)

## რუსეთი

— ფინანსთა სამინისტრო სცდილობს რაიმე გზით გააძლიეროს სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი, რადგანაც ეხლანდელი შემოსავალი სრულიად ვერა ჰფარავს გასავალს. ამისათვის ეხლა შემოღებული იქმნება, როგორც გვაუწყებენ გაზეთები, ფინანსთა სამინისტროს თაოსნობით ახალი ბაჟები. სამინისტროს განზრახვა აქვს ძველს ბაჟებსაც მოუმატოს. სააქციონერო ბანკებმა გილდის ბაჟი ყოველ წელიწადში უნდა 1.200 მან. გაიღონ. რაც კი თხოვნა გაიგზავნება ტელეგრაფით რომელსამე სახელმწიფო დაწესებულებაში ანუ თანამდებობის კაცთან, დეპეშის გამგზავნელმა დეპეშის ფულის გარდა, ღერბოვის ფულიც უნდა შეიტანოს. გარდა ამისა, რაც სახელმწიფო ბანკებში და ხაზინაში კერძო კაცთაგან შეტანილი თავნია, რომლის მიღების უფლებაც დაუკარგავთ პატრონებს, სახელმწიფო ხაზინას ნება მიეცემა მოიხმაროს თავის საჭიროებისათვის.

— ამ აპრილის 15-დამ ხარკოვის უნივერსიტეტის ბაღში დაიწყებენ აგებას ხარკოვის სრულიად რუსეთის სამეურნეო გამოფენის შენობისას, რომელიც 1 აგვისტომდე მზად იქნებაო.

— სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტს მოსვლია ამბავი, რომ რუსეთის ნაწარმოების აღებ-მიცემა სპარსეთში ძრიელ დაეცაო. უცხო ქვეყნების, მეტადრე ინგლისის საქონელი უფრო იაფად ისყიდება და ამიტომ მოსკოვის საქონელს სრულიად ვერ გაუწევია ცილობაო.

— პეტერბურგის ფიზიკოსებისა და ქიმიკოსების საზოგადოებამ ამოარჩია კომისია, რომელმაც უნდა თვალ-ყური ადევნოს 7 აგვისტოს მზის დაბნელებას. ამ კომისიის საჭიროებისათვის 5,000 მან. არის გადადებული. თვალყურის დევნას დაუწყებენ ორის ადგილიდამ: ერთი ადგილი პეტერბურგის ახლოა, მეორე—კრასნოიარსკის ქალაქში, აღმოსავლეთს ციმბირში.

— ჩრდილოეთის სააგენტო დეპეშით გვაუწყებს: უმაღლესად ნაბრძანებია, რომ სახელმწიფო ხაზინის შეძლების გასამატებლად ფინანსთა მინისტრმა ახლად ისესხოს 100 მილლიონი მანეთი 4%-თ. ობლიგაციები იქნება 100, 500, 1000, 5000 და 10,000 მანეთიანები. სარგებელი მიიღება 1 ოქტომბერში და 1 აპრილში. ვალის გადახდა დაიწყობა 1888 წლიდამ და გადახდილ იქმნება ოთხმოცის წლის განმავლობაში. ამ ობლიგაციების დაკვეთა შეიძლება 14, 15 და 16 აპრილს ყველა სახელმწიფო ბანკის განყოფილებასა და მის კანტორებში. ყოველ 100 მანეთში 84 მან. უნდა შეიტანოს ობლიგაციის დამკვეთელმა.

— იმავე სააგენტოს დეპეშა გვაუწყებს: საერო განათლების სამინისტროს გამოუცხადებია საყოველთაოდ, რომ ქალების უმაღლესს კურსებზე პეტერბურგსა, მოსკოვსა, კიევსა და ყაზანში $188^{7}/_{8}$ წელს ახალი მოსწავლენი არ მიიღებიანო.

## უცხოეთი

**ბოლგარია.** ბოლგარიის სარეგენტო ტახტისათვის კანდიდატის ამორჩევის საქმე ვერ გადასწყდა და ვერა. თითქმის ყოველ დღე ახალი კანდიდატი უჩნდება ამ ბედ-შავს ბოლგარიის ტახტს, გაზეთები ერთს ალიაქოთს ასტეხენ ხოლმე ამ კანდიდატის გამო, გააბამენ ბაასს და უნდათ გამოიცნონ, რომელს კანდიდატს უფრო ამოირჩევენ დიდნი სახელმწიფონი და რომელს უფრო მიემხრობიანო, მაგრამ ეს ბაასი და ლაპარაკი ბაასადვე და ლაპარაკადვე ჰრჩება და ბოლგარიის საქმეს მაინც-და-მაინც ჯერ კიდევ ვერა ეშველა-რა. აქამდე მგონი თორმეტამდე კაცი დაუსახელებიათ სამზღვარ-გარეთის გაზეთებს ისეთი, რომელსაც შეიძლება ბოლგარიის სამთავრო ტახტის კანდიდატობა გაუთვლონო. აი ეხლაც გაზეთ «Times»-ის ვენელი კორრესპონდენტი კიდევ ასახელებს ერთს ისეთს კაცს, რომელიც შეიძლება ბოლგარიის ტახტის კანდიდატად იქმნეს დანიშნულიო. ეს კანდიდატად დასანიშნავი კაცი ჰერცოგი შლეზვიგ-ჰოლშტინელი-ზონდერბურგ-გლუკსბურგელია. ჰერცოგი დაბადებულა 1855 წელს და ლოტერანთა სარწმუნოებისაა. ზემოხსენებულის გაზეთის კორრესპონდენტის სიტყვით, კანდიდატობას ჰერცოგისას ბევრი მომხრე ამოუჩნდება და სხვა კანდიდატებზედ უფრო უმეტესი ხმა ექმნებაო.

— ამას წინად ჩვენს გაზეთში გვქონდა დაბეჭდილი, რომ ბოლგარიის მმართველებმა პრინც ალექსანდრე ბატენბერგს მიულოცეს დაბადების დღე და პრინცის მიერ პასუხად მოუვიდათ: გმადლობთ, რომ ბოლგარიის დამოუკიდებლობისა და განთავისუფლების საქმეს აგრე თავ-განწირვით ემსახურებით; მე გულითა და სულით ბოლგარიაში ვარ და ვიქნები და იმედი მაქვს, რომ ბოლგარიის სასარგებლოდ დაბოლოვდეს ეს გამწვავებული საქმეო. ამაზედ გაზ. „Standard“-ი ამბობს, რომ ბოლგარიის აღელვებულნი და უიმედო მკვიდრნი ძალიან დაამშვიდა და გული გაუკეთა პრინცის ალექსანდრეს მიერ მოწერილმა პასუხმაო. თუმცა პრინცს არ გამოუცხადებია თავის საპასუხო წერილში, რომ ბოლგარიაში დავბრუნდები, მაგრამ არც უარ-უყვია ეს დაბრუნება და აქედამ ის დასკვნა გამოჰყავთ ბოლგარიის მკვიდრთ, რომ ბოლგარიის საქმე უეჭველად ბოლგართა სურვილისამებრ უნდა გარდასწყდესო. ამას გარდა კიდევ ბევრი სხვა მიწერ-მოწერაცა ჰქონდათ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობასა და პრინცს ალექსანდრე ბატენბერგს ერთმანერთში, მაგრამ ჯერ არავინ იცის, თუ რა საგანზედ იყო ეს მიწერ-მოწერა და რა შინაარსისაო.

— ბუქარესტიდგან აუწყებენ სამზღვარ-გარეთის გაზეთებს, რომ ბუქარესტის ადგილობრივმა მმართველობამ გამოუცხადა ბოლგარიიდგან გადმოხვეწილ სამშობლოს მოღალატეთა და მეამბოხეთ: რაც შეიძლება ჩქარა გადით რუმინიის სატახტო ქალაქიდგანაო და ნება არა გქონდეთ, რომ აქ იცხოვროთო.

**ავსტრი-უნგრია.** ჩეხები მეტად აღელვებულნი და გაბრაზებულნი არიან თურმე ამ ჟამად მადიარების წინააღმდეგ იმის გამო, რომ მადიარები არ დაეთანხმნენ ჩეხებს: სახელმწიფო ქაღალდის ფულს ჩეხურს ენაზედაც ჰქონდეს წარწერაო. ჩეხებს აბრაზებსთ ის გარემოება, რომ უნგრიას პირველი ადგილი რად უჭირავს სახელმწიფოშიო, რატომ ნებას არ გვაძლევენ, ჩვენი ერი წინ წავაყენოთ და რათა სცდილობენ ჩვენს დაჩაგვრასა და ყველაფერში გამოკლებასაო. ეს არის მიზეზი თურმე ამ ჟამად, რომ ჩეხიის სხვა-და-სხვა ადგილებში შედგენიათ საზოგადოებანი და განზრახვა აქვთ, ყოველისავე ღონის-ძიებით ხელი შეუშალონ უნგრიის სამეურნეო მრეწველობის ნაკეთობათა ჩეხიაში გავრცელებასა. ამ საზოგადოებათ დაუდგენიათ: ნუ ვიყიდით ფქვილს იმ პურის ვაჭართაგან, რომელთაც მადიარის საფქვავ წისქვილიდგან მოსდით ფქვილიო და ნურც უნგრიის ხოდრებისაგან რაიმე პირუტყვს ვიყიდით, თუ გასაშენებლად და თუ საკლავადაო. ამ ამბავზედ მადიარის ჟურნალ-გაზეთობა ძალიან გამწყრალა და ერთი მათგანი, სახელდობრ გაზ. „Egytértés“-ი რისხვით გაიძახის: „ჩვენი ქალები პრაგის ხელთათმანებსა ხმარობენ, ბევრი იყიდება ჩვენში კარლსბადის შოკოლადი, ჩეხიაში მომზადებული შუშა, ქაშნური ჭურჭელი და აგრედვე მუხუდოვო. ჩვენც წინააღმდეგობა გავუწიოთ ამ საგნების გავრცელებას უნგრიაში, ნუღარც ჩეხიის თბილს წყლებზედ ვივლით ხოლმე ზაფხულობით და მაშინ ჩაიკვნეტავენ ენას ჩეხელები და ხმას ჩაიწყვეტავენო“.—„რა უვიცები არიან მადიარები ეტნოგრაფიაში, როცა საქმე ისეთს ადგილს შეეხება, რომელიც უნგრიის გარედა მდებარეობსო, ამბობს ამის გამო გაზეთი „Politik“-ი: პეშტის გაზეთებს სრულიად ავიწყდებათ, რომ ჩეხიის თბილი წყლები და აბანოები ნემეცების ხელსა და გამგეობაშიაო“.

**ინგლისი.** ბ-ნს ტრიველიანს, რომელსაც უკანასკნელს გლადსტონის კაბინეთში ირლანდიის სტატს-სეკრეტრის თანამდებობა ჰქონდა მინდობილი და რომელიც ბ-ნ ჩემბერლენთან ერთად გამოვიდა კაბინეთიდგან, დაუწერია წერილი და ამ წერილში ჰკიცხავს მთავრობის კანონ-პროექტს იმის გამო, რომ ირლანდიაში ძალ-მომრეობითი ღონის-ძიებანი ვიხმაროთო. ბ-ნი ტრიველიანი ამბობს, რომ ლორდი სპენსერი, რომელსაც 1882 წ. ირლანდიის ვიც-კოროლის თანამდებობა ჰქონდა მინდობილი და რომლის ყოველს მოქმედებასა და მოღვაწეობას დიდის ქებით ისხენიებდნენ კონსერვატორები, დიდად განასხვავებდა ერთმანერთში პოლიტიკასა და ავაზაკობასაო. ბ-ნი ტრიველიანი და მისნი ხელ-ქვეითნი სდევნიდნენ მხოლოდ ავაზაკთ, კაცის მკვლელებს და არასოდეს არაფერს ერჩოდნენ ჟურნალ-გაზეთების გამომცემლებსა და პოლიტიკოსებსაო. ეხლანდელის მთავრობის კანონ-პროექტით-კი ისევე შეიძლება პოლიტიკოსების დასჯა, როგორც უბრალო ავაზაკებისაო; ძალიან საკვირველი იქნება, თუ პარლამენტის ლიბერალი დეპუტატები მხარს მისცემენ ამ ძალ-მომრეობის კანონ-პროექტს მთავრობისას და მიიღებენო.

— როგორც გვაუწყებს ჩრდილოეთის სააგენტო დეპეშით: 8 აპრილს სალისბერს კონსერვატორთა კავშირის კრებაზე წარმოუთქვამს სიტყვა და გამოუცხადებია: მთავრობის მიერ შედგენილი კანონ-პროექტი ირლანდიისათვის იმ აზრით არის შედგენილი, რომ ირლანდიაში თავისუფლებას გზა გაუკვალოს და მეამბოხეთა და მაშფოთართა-კი წინააღმდეგობა გაუწიოსო. ამას შემ-

დეგ სალისბერს უთქვამს, რომ გლადსტონს გადასდგომიან ზოგიერთი საუკეთესო წევრნი ლიბერალთა დასისა და მათდა ნაცვლად მიჰკედლებიან პარნელის დასის მომხრენი, ე. ი. ისინი, რომელნიც ავაზაკების და კაცის-მკვლელების შეწირულებათა წყალობით და შეოხებით ცხოვრობენო.

**ავღანისტანი.** ლონდონიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Indèpendance Belge"-ს, რომ ის ამბავი, ვითომ ემირის აბდურრახმანის ჯარები დაამარცხეს აჯანყებულმა გილზაიებმა და გააქციეს თვითონ ემირიო, მეტის-მეტად გაზვიადებულიაო. ინდოეთის მთავრობას მისვლია ამბავი, რომ გილზაიები ამ ბოლოს დროს მოემზადნენ და რამდენსამე ადგას არეულობა მოხდაო; ხოლო ეს ამბოხება და აშლილობა საერთო არეულობად არ გარდაქმნილა და ემირმა უკვე ღონის-ძიება იხმარა მეამბოხეთა და მაშფოთართა დასამარცხებლადაო.

ჩრდილოეთის სააგენტო ამას გამო შემდეგს ამბებს გვაუწყებს დეპეშით:

— ავღანიდგან გვაუწყებენ (4 მარტს), რომ ემირის ჯარმა დაამარცხა გილზაიები ღამის ბრძოლაშიო; ხოლო მეორეს მხრივ ახლა სხვა ტომნი აიშალნენ და საზოგადოდ ამბოხება ძლიერდებაო.

— 6 მარტს: გილზაიები ისე ძლიერად იბრძვიან და ბევრნიც არიან, რომ მათ წინააღმდეგ მებრძოლმა ყანდაარის ჯარმა უკან დაიწია.

— დეპეშა „რეიტერის სააგენტოსი": ავღანის ემირს მეამბოხეთა და მაშფოთართა წინააღმდეგ გაუგზავნია ერთი ბატარეია, ორი ქვეითა რაზმი და ორიც ცხენოსანი რაზმი ჯარისა განსაკუთრებით იმ ზოგიერთ აშლილ ტომთა წინააღმდეგ, რომელთაც ფიცი დაუდვიათ, რომ ემირის წინააღმდეგ ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდისაო.

— ყანდაარს ახლო დიდი ბრძოლა მომხდარა ხატაკის აშლილს ტომისა და ემირის ჯარების შორის.

**ისპანია.** ისპანიაც საომრად ემზადება და სამხედრო მომზადებასა და შეიარაღებაშია. სამხედრო მინისტრს ისპანიისას გენერალს კასსოლას განზრახვა აქვს კანონ-პროექტი შეადგინოს ზოგიერთ სამხედრო ცვლილებათაო. ამ კანონ-პროექტით მთავრობას განზრახვა აქვს 48,600,000 მანათი მოითხოვოს სამხედრო მოწყობისა და შეიარაღებისათვისაო. მადრიდელი კორრესპონდენტი ამბობს გაზ. «Times»-ისა, რომ ისპანიის სამხედრო მინისტრის ახალის კანონ-პროექტისამებრ ჯარი შემდეგის სახით უნდა განაწილდესო: 100,000 ინგლისში უნდა იქმნეს გაწესებული, 19,000 კუბაში, 8,700 ფილიპპინის კუნძულებზე და 3,700 პორტო-რიკოშიო.

## გასართობი

**ქალების საყურადღებოდ!** ნიუ-იორკიდგანა სწერენ „ფრანკფურტის გაზეთს", რომ ამერიკაში ამ ჟამად დიდ-ძალი ახლად მოგონილი ნილაბი კეთდება და იყიდებაო. ნილაბს უმეტესად ქალები ყიდულობენ, ვითომ იმიტომ, რომ სახეს გვინახავს და აღარ დაგვიჭკნებაო. ნიუ-იორკში შემდგარა საკომერციო ამხანაგობა, რომელიც ამ ნილაბების ქარხნებს აარსებს და დიდ-ძალს ნილაბებს აკეთებინებსო. ქალები ამ ნილაბსა ყიდულობენ, პირზედ იფარებენ ღამე და ისე სძინებენო. უხაროდეთ ჩვენს ქალებს! იმედია, ჩქარა გადმოათრევენ ქეჩოთი ამ ახალს მოდას ამერიკიდამ საქართველოში.

**

**მოხერხებული თეატრის დირექტორი.** ბრიუსელის თეატრის დირექტორს დიდი ბრძოლა აქვს ამ ჟამად გამართული ქალებთან იმის გამო, რომ მაღალ შლიაპებს ნუ იხურავთ, რადგან თქვენს შემდეგ მსხდომთ წარმოდგენის ყურებასა და ცქერას უშლითო. ბევრი ეწამა და ეწვალა ამ საქმეზედ საბრალო თეატრის დირექტორი, გამოაცხადა კიდეც საჯაროდ, მაგრამ ვერა მოახერხა-რა და ვერა მოაგვარა-რა, ვერაფრით დააშლევინა ქალებს მაღალის შლიაპების ტარება. ეხლა აი რა ხერხი მოუგონია ამ თეატრის დირექტორს შლიაპების განსადევნელად და ასაკრძალავად: თეატრის კარებში, თვალ-საჩინო ადგილას შემდეგი განცხადება გამოუკრავს: „შლიაპების ტარებისა და თეატრში შლიაპით სიარულის ნება ეძლევათ მხოლოდ ხნიერსა და ხანში შესულს ქალებსაო". ეს იყო და ეს თურმე, ამ დღიდგან ერთი ქალი აღარ შემოდის თეატრში შლიაპითაო.

# დეპეშა

### 10-ს აპრილი

**პარიჟი.** საფრანგეთის პოლიციის კომისარი სამზღვარ სადგურისა პანიშნებელი გადავიდა სამსახურის საქმეების გამო სამზღვარს იქით და გერმანიის პოლიციის აგენტებმა მაშინათვე დაიჭირეს, წაიყვანეს მეცში და დაიპატიმრეს. ამ საქმის ვითარება ჯერ არ არის გამორკვეული.

**ბერლინი.** გუშინ მოკავშირეთა საბჭომ დაამტკიცა, რომ მთავრობამ კიდევ ისესხოს 172 მილლიონი მარკაო. ეს ფული მოხმარებული იქმნება განსაკუთრებით სამხედრო საჭიროებათათვის, ესე იგი: ახალის სამხედრო კანონის ასასრულებლად, ციხეების ასაშენებლად, სამხედრო გზების გასაკეთებლად შვეიცარიის სამზღვარს ახლოს და ჯარების ახალის შეიარაღებისათვის.

### 11 აპრილი

**ლონდონი.** ლორდთა პალატამ მიიღო მეორედ წაკითხვის დროს კამათობის შემდეგ, რომელიც ორი საათი გაგრძელდა, კენჭის ჩამოუტარებლად, კანონ-პროექტი ირლანდიის მიწების შესახებ. კამათობის დროს მარკიზმა სალისბერიმ სთქვა, რომ ამ კანონ-პროექტს და აგრეთვე ირლანდიის სასისხლო სამართლის კანონ-პროექტს მთავრობა დიდს მნიშვნელობას აძლევსო და პალატას რომ არ მიეღო, ეგ იგივე იქნებოდა, რომ გამოეცხადებინა მთავრობას არ ვენდობიო.

**პეტერბურგი.** გუშინ დღესასწაულობდნენ 50 წლის მოღვაწეობას პოეტის პოლონსკისას. პოეტმა მაიკოვმა გამოუცხადა იუბილიარს ხელმწიფის წყალობა. ხელმწიფემ ინება და ორჯელ-მეტი პენსია დაუნიშნა პოეტს, ვიდრე ერგებოდა სამსახურის მიხედვით. ამ ამბავს დიდის სიხარულით მიეგებნენ და სთქვეს საერო საგალობელი. შემდეგ წაკითხულ იქმნა მრავალი ადრესები, რამდენიმე მილოცვის ლექსი, წერილი და დეპეშა. დეპეშები იყო მიღებული სხვათა-შორის გ. პ. პობედონოსცევისაგან და კატკოვისა და გრიგოროვიჩისაგან.

**პარიჟი.** გერმანიის რწმუნებულმა აუწყა გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ შნებელის დატუსაღების გამო გერმანიის მთავრობა მოელაპარაკება საფრანგეთის მთავრობასაო, მაგრამ მაინც ყოველს შემთხვევაში ეს უნდა ითქვას, რომ შნებელი შეპყრობილ იქმნა სასამართლოს გარდაწყვეტილებისამებრო. აქაური ჟურნალ-გაზეთობა წინანდებურად ამტკიცებს, რომ შნებელი შეიპყრეს საფრანგეთის მიწა-წყალზეო. სტრასბურგიდამ-კი იწერებიან, შნებელი იმიტომ შეიპყრეს, რომ საფრანგეთის მთავრობას ატყობინებდა, როგორ აშენებენ მეცის ციხესაო. ზოგიერთი გაზეთებიც ამბობენ სიტყვის გადაკვრით, რომ შნებელი ჯაშუშობდაო.

**მასსოვა.** ახალი მთავარ-სარდალი იტალიისა სალეტტა მოვიდა და ჩაიბარა ჯარების უფროსობა.

### 12 აპრილი

**მოსკოვი.** იაპონიის პრინცი კომასუ მეუღლითურთ მოვიდა მოსკოვს და გენერალ-გუბერნატორთან იყო სადილად. სადილზე თ. დოლგორუკოვმა დალია სადღეგრძელო იაპონიის იმპერატორისა, მისის მეუღლისა და თავის დიდის სტუმრებისა, ხოლო პრინცმა აღდღეგრძელა ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა და გულ-უხვი მასპინძელი.

**ბერლინი.** როგორც ოფიციალურის ცნობებიდამ სჩანს, შნებელის საქმეს ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორსაც საფრანგეთში აძლევენ და ეს საქმე მალე გამოირკვევაო.

**პარიჟი.** ოფიციოზური გაზეთი „Temps"-ი ამბობს, რომ გერმანიის წარმომადგენელმა განმარტა შნებელის საქმეო. ამ განმარტებიდამ სჩანს, რომ ამ საქმეს სრულიად ის ხასიათი არა აქვს, ვითომ გერმანიას უნდოდა უსიამოვნობა მიეყენებინა საფრანგეთისათვისაო.

**ბერლინი.** შნებელის საქმის გამო ოფიციოზურად იუწყებიან, რომ შნებელი მართლა გერმანიის მიწა-წყალზე იქმნა შეპყრობილიო. ამას არც თვითონ შნებელი უარ-ჰყოფსო; შნებელი შეიპყრეს იმიტომ, რომ გერმანიის სამტროდა მოქმედებდა ელზას-ლოტარინგიაშიო. პროკურორის ბრძანება იყო, რომ დაეჭირათ შნებელი იმ წამსვე, როგორც-კი გერმანიის მიწა-წყალზე გადმოვიდოდაო.

**პარიჟი.** ბისმარკმა გამოაცხადა, რომ მზადა ვარ დავუბრუნო შნებელი საფრანგეთსა, უკეთუ დამტკიცდება, რომ იგი შეპყრობილ იქმნა არა გერმანიის მიწა-წყალზე, არამედ საფრანგეთისაზეო.

### 13 აპრილს

**პეტერბურგი.** გაზეთი «Новости» გვაუწყებს, რომ ფინანსთა სამინისტროში უკვე შეუდგენიათ, თუ როგორ უნდა შეიცვალოს და რა უნდა დაემატოს იმ წესებსა, რა წესებზედაც დღეს სწარმოებს საქმე ერობის საკრედიტო დაწესებულებაში. ბოროტ-მოქმედების და საზოგადო ფულების შეჭმის მოსასპობლად, განუზრახავთ ახალი რამ წესი დაადგინონ საქმეების გასასინჯავად, დასათვალიერებლადა.

**პარიჟი.** შნებელის საქმის გამო ბერლინში გაგზავნილია ქაღალდები და სხვათა შორის ორი წერილი გერმანიის სამზღვრის კომისარის გაუჩისა. ამ წერილებში გაუჩი იწვევს შნებელსა თავისთან საქმეებზე მოსალაპარაკებლადა.

**პეტერბურგის ბირჟა, 10 ს აპრილს**

**ფ ა ს ე ბ ი:**

| | მყიდველის ფასი | გამყიდველის ფასი | გაყიდულის ფასი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 9 30 |
| ტამოჟნის კუპონები | — › | — › | 180 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — » | — › | $252^1/_4$ |
| — მეორისა | — › | 232 | — › |
| გირავნობის ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | — › | $97^1/_2$ | — › |
| ქუთაისის ბანკისა | — › | 97 | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | $84^1/_2$ | — › | — › |

### საკალენდარო ცნობანი

**აპრილი** 30 დღით არის.

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ამაღლება 14 მაისს, სულისმოფენის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

**14 დღე ხამშაბათი.** წმ. მარტიანი, მოწ. არდალიონ. კათოლიკ. ვალერიანისა და მაქსიმესი. მუსულმ. მე-4 რიცხვი შაბანის თვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 5—3, ჩადის 6—53. მთვარე 4 დღისაა.

**15 დღე ოთხშაბათი.** წმ. მოციქულ. არისტარხოსი. ქალწ. მოწ. ანასტასიასი, წმ. სუქიასი და მოყვასთა მისთა. კათოლიკ. კრესცენციასი და ანასტასიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 5—2, ჩადის 6—54.

**16 დღე ხუთშაბათი.** წმ. ქალწულ-მოწამ. აღაპია, ირინა და სხვათა. კათოლიკ. კალისტუსტისა, ლიამბერტისა და იულიასი. მუსულ. მე-6 რიცხვი შაბანის თვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 5—1, ჩადის 6—55.

### გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 მარტიდამ აპრილამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა . 3
› 2 › 2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 ›
› › 2— 3½ ›
› › 3 › 3 ›
ჯვარის მამის პურის ღვინო
1-ლის ხარისხისა . . 5 ›
მე-2 ხარისხისა . . 4 ›
მე-3 — . . . 3½ ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 ›
› 2 › 7 ›
სუკი. . . . 14 ›
ცხვრის ხორცი . . . 10 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხის. › ›
› 2 › › ›


## კერძო განცხადებანი

პატივი მაქვს ვაუწყო ტფილისის საზოგადოებას, რომ **აღდგომის** მეორე დღიდამ ლუდის სასმელს, როტონდაში „ტრამვაი", რომელიც ეკუთვნის აზნაურს ნ. პ. ლორთქიფანიძეს, დაიწყობა საზაფხულო სეზონი საერო გართობისა და დროსტარებისა. როტონდაში ყოველ დღე ნაშუადღევის 4 საათიდამ საღამოს 11 საათამდე სრული ხორო (38 კაცი) სამხედრო მუსიკისა კაპელმეისტერის ბ-ნ გლავაჩის ლოტბარობით გაჰმართავს კონცერტებს და დაუკრავს აწინდელს საუკეთესო პიესებს.

**როტონდაში უფასოდ არის შესვლა**

როგორც როტონდა, ისე ბაქანი ერთი-ორად არის ეხლა გადიდებული. აქ განსაკუთრებულ კონცერტების და საერო სეირნობის დროს გამართული იქნება ცალკე ადგილები მხოლოდ განათლებულის საზოგადოებისათვის მცირე ფასად. ლუდის საწყობი ათჯერ მეტად არის გადიდებული, ვიდრე შარშან იყო და ამ ჟამად ზაფხულისათვის დამზადებულია დიდ-ძალი ლუდი მშვენიერის თვისებისა, როგორც ბავარიისა, ისეც შავი ლუდი. ვინც ლუდის შეტყობა იცის და მოყვარულია ამ სასმელისა, ვსთხოვთ მობრძანდეს, უფასოდ მიირთვას და გასინჯოს ჰაშნიკი. აღდგომის მესამე კვირიდამ ოთხშაბათობით გაიმართება ხოლმე განსაკუთრებული გასართობი და შესაქცევარი ჯამბაზებითა, შუშხუნებით, ჰაეროსტატებით და სხვადა სხვა გვარის სალხინო სანახავებითა. ყველა ეს გაიმართება ცალკე პროგრამითა და გამოცხადდება თავ-თავის დროზე, როგორც აფიშებში, ისე ყველა აქაურს გაზეთებში. როტონდაში ყოველთვის არის ცივი საჭმელები და დასანაყრებელი სანოვაგე, აგრეთვე გასაგრილებელნი შუშხუნა წყლები, ხმელი ხილი, ტკბილი შაქრის პურები და პაპიროსები.

როტონდის გამგებელი
ი. ბაქრაძე

(3—3)

დაიბეჭდა ახალი საყმაწვილო

წიგნი

**„მოლაღური"**

ან. თუმანიშვილისა.

ფასი ერთი აბაზი

ისყიდება ტფილისში, ჩარკვიანისა და გრიქუროვის მაღაზიებში, ქუთაისში ჭილაძეების მაღაზიაში და სხვა ქალაქებში კი კერძო კაცებთან. (10—9)

# ვენის მაღაზია

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივანისა.

მაქვს პატივი ვაცნობო ტფილისის პატივცემულს საზოგადოებას, რომ ამ დღეებში ახლად მივიღე ვენიდგან მრავლად საზაფხულო მზადშეკერილი ტანისამოსი, როგორც კაცებისათვის, ისე ყმაწვილებისათვის, უკანასკნელის ფასონებისა; გარდა ამისა მაქვს კიდევ ტანისამოსი მოსკოვისა და ვარშავის წარჩინებულის ფაბრიკანტებისაგან. ფასები ყოველთათვის ხელ-მისაწდომია.

ვ. ხუდავერდიანც

(8—7)


Дов. ценз. Тиф. 13 апрѣля, 1887г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე